ოქმი:**ო47. 47253013**
თარიღი:**28/10/2025**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

ოქმი N 12

***დ. ჩოხატაური* 22 ოქტომბერი, 2025 წელი.**

სხდომის თავმჯდომარე- ირაკლი კუჭავა.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: დავით გუდავაძე, ზაალ მამალაძე, ჯუმბერი ბერძენიშვილი, მარინე ბერაძე, აკაკი ყაჭეიშვილი, ზვიადი მამალაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, ლაშა თოლორდავა, კლოდი მდინარაძე, გივი ჩხიკვაძე, ზვიად წეროძე, თემურ ხუხუნაიშვილი, ქეთევან სიხარულიძე, გოჩა ჯიქია, ლაშა ირემაძე, კახაბერ სიხარულიძე, კობა კალანდაძე, ნოდარი ცხომელიძე, ზაურ ზარბაზოია, ნინო რამიშვილი. მინდია დოლიძე, ერეკლე უღრელიძე.

მერაბ ხუნდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი.

ნათია ცინცაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საოქმო და სამდივნო მომსახურების საკითხებში;

არ ესწრებოდნენ: ბიძინა ცინცაძე, დიმიტრი კორიფაძე, გოგი ბოლქვაძე, გიორგი მათითაშვილი, მაია გიორგაძე, დავით ტყეშელიაძე, ვალერიან ჩხიკვაძე, ბაია ძნელაძე, მამია ბარამიძე, ხათუნა ბერიშვილი, ბაჩო ახალაძე, არჩილ სიხარულიძე, მარინე თავაძე,

მოწვეული:

ლელა მდინარაძე - მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის გარემოს დაცვისა და

სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილების უფროსი;

მერაბ ბერძენიშვილი - მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის

სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025-2029 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ.

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ანგარიში, მიმდინარე წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკაშირებით წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _23

წინააღმდეგი _ 0
თავი შეიკავა _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 23 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025-2029 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ლელა მდინარაძე

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის გარემოს დაცვისა და

სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილების უფროსი

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ანგარიში, მიმდინარე წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის

სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი

I საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025-2029 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025-2029 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ლელა მდინარაძე

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის გარემოს დაცვისა და

სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილების უფროსი

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს აზრის გამოთქმის თაობაზე,

აღნიშნულ საკითხთან დაკაშირებით წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _23

წინააღმდეგი _ 0
თავი შეიკავა _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 23 წევრი)

მიღებულია დადგენილება:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025-2029 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ.

II საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ანგარიში, მიმდინარე წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მოისმინეს:

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ანგარიში, მიმდინარე წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის

სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი

ცნობად იქნა მიღებული:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ანგარიში, მიმდინარე წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

განსახილველი საკითხების ამოწურვის შემდეგ ,,სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ მარინე ბერაძემ გააკეთა განცხადება:

„საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს პოზიციის დაფიქსირების თაობაზე.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკრებულომ დადებითი პოზიცია გამოხატა და მიიღო ცნობად.

საკრებულოს თავმჯდომარემ გააკეთა განცხადება:

დღეს საკრებულოს ბოლო სხდომა ჩავატარე. მიუხედავად იმისა, რომ მე - 5 მოწვევის საკრებულო პოლიტიკურად მრავალფეროვანი იყო და ზოგჯერ ცხარე კამათიც გვქონია, არ მახსენდება არცერთი შემთხვევა, რომ გავცდენოდეთ პოლიტიკის, მორალისა და ეთიკის ნორმებს, რისთვისაც მადლობელი ვარ საკრებულოს თითოეული წევრის. წარმატებას ვუსურვებ ახალი მოწვევის საკრებულოს.

განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა საკრებულოს აპარატის თანამშრომლებს გამოხატული სითბოსა და თანამშრომლობისათვის.

მადლობას ვუხდი მერიის თანამშრომლებს, როგორც პირველმა, ორი ვადითით არჩეულმა მერმა 8 წელი ვიმუშავე მათთან ერთად და ისეთი პროექტები განვახორციელეთ, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ახალ და უკეთეს ჩოხატაურს. არაერთ ახალგაზრდას გავუხსენი გზა კარიერული წინსვლისკენ, მათ შორის ახალ არჩეულ მერს, რომელსაც წარმატებას ვუსურვებ. ეს შანსი „ქართულმა ოცნებამ“ მომცა, რასაც ნამდვილად ვაფასებ.

ღმერთი ფარავდეს ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ჩოხატაურს - გურიის მარგალიტს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი